საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06

ქ. ბათუმი 31 იანვარი, 2018 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№5, 25.01.2018) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 14 დეკემბრის №01-08/101 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შედეგები და კონკურსის საფუძველზე **კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში საბაზისო მედიცინის მიმართულებით** ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე ოთხი წლის ვადით (**2022 წლის 01 თებერვლამდე**) არჩეული იქნენ:

1) თეა ქოიავა - ასისტენტ პროფესორი;
2) ირინა ნაკაშიძე - ასისტენტ პროფესორი.

2. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2018 წლის 01 თებერვლიდან.

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირებს.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**